ევროკავშირი საქართველოსთვის

საქართველოს სახალხო დამცველი

unicef for every child

ბავშვის საუკეთესო ინტერესი

ბავშვს ყოველთვის უნდა მოუსმინონ

ბავშვის ცხოვრების ყველა სფერო

ის, რაც ბავშვისთვის საუკეთესოა

ბავშვის ყველა უფლება დაცული უნდა იყოს

ზრდასრულების ინტერესებმა არ უნდა გადაწონოს ბავშვის ინტერესები

ბავშვის უფლებათა კოდექსი („ბუკი“) ამბობს, რომ

1. ყოველთვის დაცული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები
2. ყველა ბავშვს აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი
3. ზრდასრულებმა პატივი უნდა სცენ ბავშვს, მის აზრს, არჩევანს და გადაწყვეტილებას

ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ზრდასრულები ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებენ ან რაიმეს აკეთებენ, რაც ბავშვს უკავშირდება, აუცილებლად უნდა დაფიქრდნენ, როგორ იმოქმედებს ეს ბავშვზე.

ამ დროს, ზრდასრულებმა ბავშვს უნდა მოუსმინონ, გაიგონ, რას ფიქრობს და სერიოზულად მოეკიდონ მის აზრს. შემდეგ კი ისე უნდა მოიქცნენ და ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, რაც საუკეთესო იქნება ბავშვის უფლებების დასაცავად.

გადაწყვეტილების მიღებისას ზრდასრულებმა ბავშვს უნდა აუხსნან, როგორ გაითვალისწინეს მისი აზრი ან თუ ვერ გაითვალისწინეს ბავშვის მოსაზრება, რა იყო ამის მიზეზი.

ბავშვს უფლება აქვს, თავისი აზრი გამოხატოს ისე, როგორც მას სურს, მაგალითად, თქვას, დაწეროს, დახატოს ან რაიმე სხვა ფორმა აარჩიოს.

შეიქმნა სახალხო დამცველის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ბავშვის უფლებებზე მომზადებული ყველა მასალა შეგიძლია ნახო აქ